

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის
„ახალციხის ციხე“-ს

წესდება

მუხლი 1. ზოდადი დებულებანი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი - „ახალციხის ციხე“ (შემდგომში - იურიდიული პირი) არის ისტორიული და კულტურული ძეგლის დაცვის მიზნით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს რაბათის ციხის კომპლექსის მართვას, მოვლა-პატრონობას, შენახვას და ისტორიული და კულტურული ძეგლის დაცვისათვის განსახორციელებლ სხვა ღონისძიებებს.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, წარმოადგენს იურიდიულ პირს, რომელიც თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს კანონმდებლობისა და წინამდებარე წესდების საფუძველზე.
3. იურიდიული პირის სახელწოდება: „ახალციხის ციხე“.
4. სამართლებრივი ფორმა: არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.
5. იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. ახალციხე, პ. ხარისჭირაშვილის ქ. №1.
6. იურიდიული პირს აქვს დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშები საბანკო დაწესებულებებში, არაკომერციული იურიდიული პირის სხვა რეკვიზიტები.
7. ორგანიზაცია საკუთარი სახელით ახორციელებს თავის უფლებებსა და მოვალეობებს, ამყარებს საქმიან კონტაქტებს, როგორც საქართველოს, ისე უცხოეთის ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დებს გარიგებებს, საკუთარი სახელით შეუძლია გამოვიდეს მოსარჩევედ და მოპასუხედ სასამართლოში.

მუხლი 2. იურიდიული პირის დამფუძნებელი

1. იურიდიული პირის დამფუძნებელია საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ახალციხის მუნიციპალიტეტი. მისამართი: ქ. ახალციხე, მერაბ კოსტავას ქ. №18, საიდენტიფიკაციო ს/კ 224101317.
2. დამფუძნებელი განსაზღვრავს იურიდიული პირის წესდებას, მიზნებსა და ამოცანებს.
3. იურიდიული პირის დამფუძნებლის სახელით მოქმედებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.

მუხლი 3. იურიდიული პირის მიზნები და ამოცანები

1. იურიდიული პირის მიზნები და მისი ამოცანებია:
 - ა) რაბათის ციხის კომპლექსის, როგორც ისტორიული/კულტურული ძეგლის დაცვა;
 - ბ) კომპლექსის პოპულარიზაცია და განვითარება;
 - გ) კომპლექსის ტერიტორიაზე არსებულ შენობა - ნაგებობებში განთავსებული ორგანიზაციებისათვის გადაცემული ქონების მიზნობრივად გამოყენებაზე ზედამხედველობა;
 - დ) კომპლექსის ტერიტორიის მოვლა-შენახვა, დასუფთავება, გამწვანება;
 - ე) კომპლექსის ტერიტორიაზე განთავსებული ნაგებობების მიმდინარე კაპიტალური რემონტის უზრუნველყოფა, საჭიროებისამებრ რესტავრაცია;
 - ვ) რაბათის ციხის ტერიტორიაზე, პეროდულად, საჭიროებისამბერ, სხვადასხვა სახის ღონისძიებების მოწყობა;
 - ზ) ბუკლეტებისა და ტურისტული ცნობარის მომზადება;

მუხლი 4. იურიდიული პირის მართვა

1. იურიდიული პირის ხელმძღვანელობა და წარმომადგენლობა ენიჭება დირექტორს, რომელსაც ნიშნავს და ანთავისუფლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი.
2. დირექტორი ანგარიშვალდებულია ახალციხის მუნიციპალიტეტის მერის წინაშე და პერიუდულად (მოთხოვნისთანავე) წარუდგენს მას ანგარიშს, იურიდიული პირის საქმინობის შესახებ.
3. დირექტორი:
 - ა) წარმომადგენს იურიდიულ პირს მესამე პირებთან ურთიერთობაში. ორგანიზაციებსა და ყველა ინსტანციის სასამართლოში,
 - ბ) ადგენს საშტატო ნუსხას, სტრუქტურას, სახელფასო ფონდს და შესათანხმებლად წარუდგენს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს.
 - გ) თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს იურიდიული პირის თანამშრომლებს, იღებს გადაწყვეტილებას მათი წახალისებისა და დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.
 - დ) საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, გამოსცემს ინდივიდუალურ- სამართლებრივ აქტს;
 - ე) ორგანიზაციის სახელით, ახორციელებს საბანკო ურთიერთობებს, ხელს აწერს საფინანსო დოკუმენტებს;
 - ვ) წარმართავს და ორგანიზებას უწევს დაწესებულების საერთო საქმიანობას და პასუხისმგებელია ამ საქმიანობის კანონიერებასა და ეფექტურობაზე;
 - ზ) დამფუძნებელთან შეთანხმებით, კანონით დადგენილი წესითა და კომპეტენციის ფარგლებში, განახორციელებს შესყიდვას, გეგმის საფუძველზე.
 - თ) მოვალეობის შეუსრულებლობის ან არაკეთილსინდისიერად შესრულების შემთხვევაში, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირისა და დამფუძნებლის წინაშე პასუხისმგებელია წარმოშობილი ზიანისათვის;
 - ი) წესდებით განსაზღვრული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად უფლებამოსილია განახორციელოს კანონით გათვალისწინებული სხვა მოქმედებები.
4. დირექტორს ჰყავს ერთი მოადგილე, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს ახალციხის მუნიციპალიტეტის მერი. დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობებს ასრულებს დირექტორის მოადგილე, ხოლო დირექტორისა და დირექტორის მოადგილის არყოფნის შემთხვევაში დირექტორის მოვალეობას ასრულებს ერთ-ერთი სამსახურის უფროსი მუნიციპალიტეტის მერის დავალებით.

მუხლი 5. დაფინანსება

1. იურიდიული პირის დაფინანსების წყარო შეიძლება იყოს:
 - ა) ადგილობრივი ბიუჯეტი;
 - ბ) დამფუძნებლის შენატანები;
 - გ) გრანტები და სუბსიდიები;
 - დ) კომპლექსის ნაწილში შესასვლელი ბილეთების რეალიზაციით მიღებული შემოსავლები;
 - ე) სახელმწიფოს შეკვეთის შესრულებიდან მიღებული შემოსავლები;
 - ვ) ხელშეკრულების საფუძველზე შესრულებული სამუშაოდან მიღებული შემოსავალი;
 - ზ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.
2. ამ მუხლით განსაზღვრული სახსრები, კანონმდებლობის შესაბამისად, ხმარდება მხოლოდ იურიდიული პირის მიზნებსა და ამოცანების განხორციელებას. იურიდიული პირის სხვა მიზნით გამოყენება დაუშვებელია.

მუხლი 6. იურიდიული პირის საკუთრება და ქონება

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ქონებას შეადგენს წესდებით გათვალისწინებული მიზნებისა და ამოცანების განსახორციელებლად საჭირო ფულადი სახსრები და მატერიალური რესურსები.

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის სარგებლობაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონება და მასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

მუხლი 7. საქმიანობა, რომელიც საჭიროებს თანხმობას

1. იურიდიულ პირს შეუძლია მხოლოდ დამფუძნებლის თანხმობით განხორციელების შემდეგი ქმედებები:
 - ა) უძრავი ქონების შეძენა, გასხვისება და დატვირთვა;
 - ბ) სესხის აღება;
 - გ) თავდებობა;
- დ) სხვა გადაწყვეტილებები, რომელიც სცილდება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის საქმიანობის ფარგლებს.

მუხლი 8. კონტროლი

1. იურიდიული პირის საფინანსო-ეკონომიკურ საქმიანობას აკონტროლებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი მისდამი დაქვემდებარებული სამსახურის მეშვეობით.
2. დამფუძნებელს უფლება აქვს მოითხოვოს კონტროლის განსახორციელებლად საჭირო მასალები და ინფორმაციის წარდგენა, მასვე შეუძლია შეაჩეროს ან გააუქმოს იურიდიული პირის არამართლზომიერი გადაწყვეტილება.

მუხლი 9. წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. ლიკვიდაცია და რეორგანიზაცია

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის რეორგანიზაცია ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, დამფუძნებლის გადაწყვეტილებით.
2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაცია ხორციელდება მიზნის მიღწევის შედეგად, სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ მაღაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, გაკოტრებისას ან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 38-ე მუხლის შესაბამისად.
3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულად ერთეულში, დავმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
4. დამფუძნებლის გადაწყვეტილება საზოგადოების ლიკვიდაციის პროცესის დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრვს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებელი. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
 - ა) გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;
 - ბ) ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;
- გ) ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.
6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელობისა და


წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს შორის. დარჩენილი ქონების განაწილება მოხდება კანონით დადგენილი წესით.

7. ლიკვიდაციას ახორციელებს ხელმძღვანელობის უფლებამოსილების მქონე პირი (პირები) ან კანონით დადგენილი წესით დანიშნული ლიკვიდატორი. ლიკვიდატორი პასუხს აგებს, როგორც ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი.

მუხლი 12. დასკვნითი დებულებები

1. წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა, გავლენას არ მოახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.
2. წესდებასა და საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში მოქმედებს კანონი.

ზაზა მელიქიძე



მუნიციპალიტეტის მერი

ახალციხის მუნიციპალიტეტის მერია